

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს სხდომა
ო ქ მ ი # 9

ქ. თბილისი,

27 ნოემბერი, 2015 წ.

სხდომის თავმჯდომარე: ჯემალ მაგანია – რექტორი, პროფესორი.

სხდომის მდივანი: ნინო ქოჩაკიძე, პროფესორი.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ჯემალ მაგანია – უმაღლესი სასწავლებლის რექტორი, პროფესორი.
2. ნინო ქოჩაკიძე – სხდომის მდივანი, პროფესორი.
3. დავით ხაჩიძე – ასოცირებული პროფესორი.
4. გიორგი ზუბიტაშვილი – ასოცირებული პროფესორი.
5. ედუარდ ფეროიანი - ასოცირებული პროფესორი.
6. კახა ხვედელიძე - ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. დეკანების ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და სწავლების გადახდის საფასურის შესახებ.
2. დავალიანების მქონე სტუდენტთა დამატებითი მეცადინეობის ჩატარების მიმდინარეობის შესახებ (დეკანები).
3. ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან გაწეული ხარჯები და ნაშთები (ლ. ბოჟაძე).
4. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: დეკანების ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და სწავლების საფასურის გადახდის შესახებ. მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ტ. ბულბიანის და ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გ. ფარულავას ინფორმაცია აღნიშნული საკითხის შესახებ. თან ერთვის ოქმს (დანართ 1).

დაადგინეს: დეკანების ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და სწავლის საფასურის გადახდის შესახებ მიღებულ იქნას ცნობად. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს და სპეციალიზაციის

მასწავლებლებს აქტიურად, მისაღები საშუალებებით იმუშაონ სწავლების საფასურის გადახდის მიმართულებით.

მოისმინეს: დავალიანების მქონე სტუდენტების დამატებითი მეცადინეობების ჩატარების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გაკეთდეს მწვრთნელთა და ფიზ. მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტების დეკანებმა პროფესორებმა ტ. გულბიანმა და გ. ფარულავამ. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ ყველა საგანში გამოყოფილია პედაგოგები და შექმნილია ჯგუფები. ნაწილი დავალიანების მქონე სტუდენტების დადის დამატებით მეცადინეობებზე. ციფრობრივი მონაცემები თან ერთვის ოქმს (დანართი 2).

დაადგინეს: დავალიანების მქონე სტუდენტების დამატებითი მეცადინეობების ჩატარების მიმდინარეობის შესახებ. დეკანების ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად და დაევალოს მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანს პროფ. ტ. გულბიანს და ფიზ. მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს პროფესორ გ. ფარულავას გააძლიერონ დავალიანების მქონე სტუდენტებთან მუშაობა.

მოისმინეს: ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან გაწეული ხარჯები და ნაშთების შესახებ ინფორმაცია გააკეთა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლ. ბოჟაძემ. თან ერთვის ოქმს (დანართი 3). მან აღნიშნა, რომ უმაღლესმა სასწავლებელმა სპორტის სამინისტროს მიმართა თხოვნით და მოითხოვა 2016 წელს ბიუჯეტი 800 ათასი ლარი ჭერი ბიუჯეტის და მის ზემოთ 700 ათასი ლარი.

დაადგინეს: ბიუჯეტის და საკუთარი შემოსავლებიდან გაწეული ხარჯები და ნაშთების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლ. ბოჟაძის ინფორმაცია ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და მიღებულ იქნას ცნობად.

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი:



ჯემალ მაგანია

სხდომის მდივანი, პროფესორი:

ნინო ქოჩაკიძე